# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ოთხშაბათი 30 ივლისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 117 ═══ ყოველდღიური გაზეთი ═══ წელიწადი მესამე 1914 № 117

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| გაზეთის ფასი: | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ელენე და დიმიტრი ბარქაიები, სოფიო გლუშაკოვისა, ლიზა იოსელიანისა, ალექსანდრა, ბაბულია ბარქაიას ასული, დავით გლუშაკოვი ბაგრატ იოსელიანი, აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებთ: პირველნი ძვირფასი შვილის, მეორენი (ოთხნი) დაუვიწყარი ძმის და უკანასკნელნი ცოლის ძმისას

### გრიშა დიმიტრის ძის ბარქაიას

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დაბა ხონში ხუთშაბათს 31 ივლისს დილის 9 საათ. პანაშვიდები ყოველდღე საღამობით.

---

ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნერვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½—2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი**

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

**ექიმი** კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) იკვლევს გასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---

**ექიმი** ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---

**ექიმმა** ზ. ალშიბაიამ საზღვარგარეთ გამგზავრების გამო შესწყვიტა ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდე.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმმა** ი. ჩარექოვმა შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

---

**ექიმი** ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვ. პ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

# მოწოდება

## ქუთაისის ქალაქ. მოურავისა

### მოქალაქენო!

რადგან დღეს სწარმოებს საშინელი, უმაგალითო ომი, თვითოეული თქვენგანი ზნეობრივად ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ომის საშინელების შემსუბუქებას. ომით გამოწვეული საშინელებათაგან ყველაზე უფრო შემზარავია შიმშილი. ჩემგან შეკრებილი ცნობები, სამწუხაროდ, ამტკიცებენ, რომ ქუთაისის ზოგიერთმა მოვაჭრეებმა, ისარგებლებს რა შავბნელ ომიანობის დროით, ხელოვნურად გააძვირეს ხალხისთვის აუცილებელი სანოვაგე: პური, ხორცი, შაქარი, ნავთი და სხ. ამ დროს ამგვარი მოქმედება შეუწყნარებელია, სამარცხვინოა, ნუ დაივიწყებენ სანოვაგით მოვაჭრენი, რომ ისინიც მოქალაქეთა სახელს ატარებენ და ამისთვის მოვალე არის თავის ქალაქის და ქვეყნის წინაშე არ დაამშიონ ღარიბ-ღატაკი მცხოვრებლები, არ დაამშიონ ღვთის ანაბარად მიტოვებული ცოლშვილი ომში გაწვეულ ჯარის-კაცებისა. შიმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხალხისთვის საჭირო სანოვაგის სიმცირე დროებით მოვლენას შეადგენს. ბ. გუბერნატორისა და ქალაქის თვით მართველობისაგან უკვე მიღებულია საჭირო ზომები, რომ რკინის გზამ სანოვაგე დაჩქარებით მოაწოდოს ჩვენს ქალაქს.

სანოვაგით დაინტერესებულთ ვსთხოვ მიმართონ განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც ჩემის თავჯდომარეობით ირკვევს სანოვაგის საკითხებს.

ქალაქის მოურავი **ИЛ. ЧИЧОВАНИ.**

---

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან. 28 ივლისი.

**თბილისი.** რადგანაც ტელეგრაფი ძალზე დატვირთულია სამუშაოთი, ამიტომ დეპეშით გადაეცემა მხოლოდ ცნობები ომის შესახებ, დანარჩენი ცნობანი კი იგზავნება ფოშტით, რასაც არ შეიძლება დაგვიანება არ მოყვეს.

**პარიზი.** (სავანგებო) საფრანგეთის ჯარი მიულგაუზენში შევიდა.

**ლონდონი.** ლისაბონიდან იუწყებიან, რომ თავის არა ჩვეულებრივ კრებაზე პარლამენტმა განაცხადა, რომ პორტუგალია, თანახმათ წინათდადებულ ხელშეკრულობისა, იგი ინგლისის მხარეს იქნება. სამხედრო გემებს ებრძანათ, სანავოსნოთ მოემზადონ. გამოიცა ბრძანება სამი დივიზიის მობილიზაციის შესახებ. სავაჭრო გემებს რადიოტელეგრაფები მოხსნეს.

**ლონდონი.** აფრიკაში, ოქროს ნაპირზე, ინგლისის ჯარმა უბრძოლველათ დაიპყრა გერმანიის ახალშენ ტოგოს ნავსადგური **ლომე**. ამავე ჯარმა დაიჭირა აგრეთვე სამხრეთ **ტიგოლანდი** ასოცი კილომეტრის მანძილზე ნაპირიდან.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიამ დაიჭირა **ბუდვუ** და **ბოკეი**. მკვიდრნი ოვაციებით მიეგებნენ. აქ უკვე შემოიღეს თავისი მართველობა. ხალხი თავისი ნებით დგება ჩერნოგორიის დროშის ქვეშ.

**მოსკოვი**, თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივმა კრებამ გადასდვა 300,000 მანეთი ომის საჭიროებისათვის და დაადგინა, მოუწოდოს მთელი იმპერიის თავადაზნაურობას საერთო ძალით იმოქმედონ ამ ომიანობის დროს.

**თფილისი.** ათიათასობით თავმოყრილმა სომხობამ ეპისკოპოზისა და სამღვდელოების მეთაურობით გადაიხადა რა სადღესასწაულო პარაკლისი, რათა რუსის ჯარს მიენიჭოს გამარჯვება, გაიარა ქალაქის ქუჩები და გაჩერდა მეფის მოადგილის სასახლის წინ. მათ გამოეგება მეფის მოადგილე. სომხებმა სთხოვეს განართხოს ფეხთა წინაშე მონარქისა უსაზღვრო გრძნობა სომხის ხალხის სიყვარულისა და ამასთანავე განუცხადეს, რომ ყველა სომეხი, ვისაც კი შეუძლია იარაღის ხმარება, მზათ არის ჩადგეს მებრძოლთა რაზმში, რათა დაუმტკიცოს რუსეთსა და მის მონარქს თვისი ერთგულება და ულრმესი მადლობა.

**პარიზი.** ფრანგები მედგრათ იცავენ **მიულგაუზენს**. მთელ ფრონტზე მრავალი შეტაკება ხდება. ფრანგებსა და გერმანელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ. **ვოგეზის** სიმაღლეზე ფრანგებმა დაიჭირეს გორაკები: **ბონომი** და **სენტმარი**. საფრანგეთის ერთი ჰაეროპლანი ტყვიებით დაანარცხეს. მზვერავმა დაჭრილმა აფიცერმა მაინც მიაღწია **ბელფორამდი**.

**პარიზი.** ფრანგთა ბრიგადა მივიდა ალეკერეპუსთან (?), რომელიც გამაგრებული იყო გერმანელთა სამი სიმაგრით. ფრანგები იბრძოდენ გააფრთებული. განსაკუთრებით თავი ისახელა ქვეითა ჯარის პოლკმა, რომელმაც ტრანშეი ხელთ იგდო. ნემცები გაიქცენ და ფრანგებს ჩაუგდეს ხელში მეორე ლიანდაგის სიმაგრე. ცხენოსანი პოლკი გაქცეულ გერმანელებს უკან დაედევნა და საგრძნობი ზარალი მიაყენა მათ. დაიჭრა ფრანგი პოლკოვნიკი და შვიდი აფიცერი. სიბნელის გამო ნემცები ფრანგთა უკან დადევნებისაგან განთავისუფლდენ. ფრანგები შევიდენ **ალტკირხში**. ელზასის მცხოვრებლები ფრანგებს დიდი ამბით შეხვდენ. ამოთხარეს საზღვარის სვეტები და ქალაქში დიდი ამბით ჩაიტანეს. საფრანგეთის ავანგარდი გავიდა ქალაქიდან, მაგრამ მტერი არსად შეხვედრია. მტერმა უკან დაიხია და გასწმინდა სიმაგრეები, რომელიც იცავდა მალგაუზენს. მალგაუზენში ფრანგები შევიდენ საღამოს ხუთ საათზე. მცხოვრებლები ფრანგებს სადღესასწაულო ოვაციებით შეეგებენ. ფრანგთა ცხენოსანი რაზმი კიდევ დაედევნა უკან ნემცებს. დანაკლისი ფრანგებისა არაა დიდათ საგრძნობი, შედარებით ნემცებთან, მცირეა. ფრანგებისაგან მაულგაუზენის აღებას ელზაში სამხედრო აპერაციების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოების შემდეგ ნემეცთა მდგომარეობა ძალიან ცუდი ხდება. მაასის სამხრეთით ფრანგები ყველგან იმარჯვებენ. ერთ ადგილას მოდარაჯეებმა, სადაც იყვენ ერთი აფიცერი და შვიდი დარაჯი, გაქცევით თავს უშველეს.

**პეტერბურგი.** გერმანელებისაგან ლიეჟის აღების დამამტკიცებელი ცნობები ჯერ კიდევ არ მოსულა. მართალია, დროებით ჩამოვარდა ზავი, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა. ბელგიელები ამბობენ, დროებით ზავი გერმანელებს უნდოდა თავის ძალთა გასაძლიერებლათო. ჰოლანდიიდან გერმანიის ჯარის შემოყვანამ ბელგიას დიდი ზარალი მიაყენა. ჰოლანდიის მხრით ნეიტრალიტეტის დარღვევას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თავის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარი გაატარა, დიდი შედეგები მოყვება.

**პეტერბურგი.** 8 აგვისტომდი გერმანიაში ყველა მამაკაცები 17 წლიდან 45 წლამდი უნდა გამოცხადდენ ჯარში.

**პეტერბურგი.** სტალპენენადან გერმანიის არტილერია ჩვენს „რაზიეზდს“ ესვრის.

**ნიში.** გერმანიის ელჩმა და მისის წევრებმა სერბიის მთავრობის მოთხოვნით სერბია დასტოვეს.

**ნიში.** 23 ივლისს ვიშეგრადთან ბრძოლაში ავსტრიელებმა უკან დაიხიეს.

**ნიში.** ავსტრიელებმა არტილერიის ცეცხლით პორტაში მდგომი გემი დაძირა. აგრეთვე დაანგრიეს ხიდი სავაზე 44 ზარბაზნის გასროლით.

**ურმია.** მოხდა დიდი მანიფესტაცია რუსეთის ჯარის პატივსაცემლათ. ქალაქში გამოფენილია დროშები და ნოხები.

**ტოკიო.** იაპონიის პირველი და მეორე ესკადრა ადმირალ დევოს ხელმძღვანელობით გავიდა ზღვაში.

**ნიში.** ბერლინში სერბიის საქმეთა რწმუნებულს გაეგზავნა დეპეში, სადაც ატყობინებენ ბერლინი დასტოვეო.

**ერივანში.** 27 ივლისს ეჩმიაძინში პარაკლისი გადაიხადეს და ილოცეს რუსეთის გამარჯვებისათვის. ხალხის სულიერი განწყობილება კარგია. ეჩმიაძინის კედლებშიგნით ამბობენ: ისტორიული ფიცის ერთგული სომხეთი დიდი სიხარულით აგზავნის თავის შვილებს რუსეთის, ამ მეორე ჩვენი სამშობლოს, სასარგებლო—ბრძოლაში. სომხის ხალხი გაერთიანებული, ვითარცა ერთი კაცი, თავის

ღირსებას მსხვერპლათ შესწირავს რუსეთს მტრებზე გამარჯვებისათვის.

**პეტერბურგი.** 27 ივლისს მეჩეთში რუსეთის მეფისა და მისი ოჯახობის საკეთილდღეოთ და რუსეთის ჯარის გასამარჯვებლათ სადღესასწაულო ღვთისმსახურება შეასრულეს. ღვთისმსახურებას დაესწრო პეტერბურგში მცხოვრები ყველა მამადიანი, აგრეთვე მამადიანი სათადარიგო ჯარის კაცები. პარაკლისის დასრულების შემდეგ დამსწრე მამადიანებმა მეფეს დეპეში გაუგზავნეს, სადაც გამოსთქვეს მეფისადმი უქვეშევრდომილესი გრძნობები.

**პეტერბურგი.** პირველ რაზრიადის რატნიკების სამსახურში მოწვევის გამო ბევრი თხოვნა შემოდის, სადაც თხოულობენ განთავისუფლებას „ზაპასში" ყოფნის დროს ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო. გენერალური შტაბის უმთავრესი სამართველო აცხადებს, რომ წესდება სამხედრო ბეგრის მოხდის შესახებ შეღავათს ოჯახური მდგომარეობის მიხედვით „ზაპასში" ყოფნის დროს არ ავრცელებს. ყველა ზაპასში ჩარიცხული ვალდებულია დაძახებისთანავე გამოცხადდეს და ჩადგეს ჯარში ან მილიციაში.

**კიევი.** გაერთიანებულ ჩეხთა მრავალრიცხოვანი კრება მოხდა. კრებაზე გრძნობათა არაჩვეულებრივი აღფრთოვანება სუფევდა. ერთხმათ გადასწყვიტეს უარი სთქვან ავსტრიის ქვეშევრდომობაზე და სთხოვონ გენერალ-გუბერნატორს დააჩქაროს მათი თხოვნის შეწყნარება რუსეთის ქვეშევრდომათ გახდომის შესახებ. მრავალჯერ შეასრულეს რუსული, ჩეხური საერთო სლავიანური ჰიმნი „გეი სლავიანე". კრების მონაწილეებმა მადლიერ ჩეხთა სახელით იმპერატორ ალექსანდრე მეორეს საფლავზე გვირგვინი მიიტანეს. შეკრიბეს ფული დაჭრილთა და სათადარიგო ჯარისკაცთა სასარგებლოთ.

29 ივლისი.

**პეტერბურგი.** კელეცკის გუბერნიაში შესული ავსტრიის ჯარი ძლიერდება ვარანოვის რაიონში. რატოაში (?) სტანციის მახლობლათ მდინარე ვისლაზე ჯარი გადაყავთ. ვისლაზე მდებარე ქალაქი ვლოცლავი გერმანიის მცირე ჯარმა დაიჭირა, გემები, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიემგზავრებოდნენ ნორვეგიიდან და რომელიც გერმანიის კრეისერები გვეგონა, აღმოჩნდა სავაჭრო გემები ენეისეის სავაჭრო ექსპედიციისა. ბელგიელების განცხადებით, გერმანიის მძიმე საველე არტილერია, რომელზეც გერმანია ამყარებდა დიდ იმედებს თავისი ცეცხლით მიაღწია ძლიერ მცირე შედეგებს.

**ლუცკი.** 26-სა და 27 ივლისს მოხდა ბრძოლა ავსტრიის ჯართან პერესეჩკოვსა და პოჩაევის ახლო. ავსტრიელები უკუგდებულ იქნენ. მტერმა რადზივილოვსკენ დაიხია და დასწვა ბროდი, რომელიც შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს და ცეცხლი ჩააქრეს. ბერესტეჩკოში მოიყვანეს მრავალი დაჭრილი ავსტრიელი ტყვე. მტერი უგულოთ იბრძვის, იარაღს ყრის და ტყვეთ ვარდებიან.

**პეტერბურგი.** გერმანიის ჰაეროპლანები მუდამ დღე დაფრინავენ კოვნოს თავზე. საზღვარზე მდებარე მრავალ სოფელში საველე ჯარის ადგილი დაიკავეს ლანდვერის (სათადარიგო ჯარის) ქვეითა და კავალერიის ჯარებმა. გერმანიის საზღვარზე მნიშვნელოვანი შეტაკება არ მომხდარა. ხდება მუდმივი პატარა შეტაკებები. საზღვრის პირათ გაფანტული გერმანიის საველე ჯარები თავს იყრიან ზოგიერთ მახლობელ პუნკტში ჯგუფ-ჯგუფათ. ცნობა მოვიდა, რომ ავსტრიელებმა დუნაიზე ორი ბარჟა დაატყვევეს. ბარჟაზე რუმინიის ჯარის სამხედრო სურსათი იყო, იგი მალე გაათავისუფლეს. ოსმალეთიდან იუწყებიან, ოსმალოს ჯარის თავის მოყრა გრძელდება.

# ომის დღიური.

## ლიეჟის აღება.

როგორც უკანასკნელის დეპეშიდან ვიცით, გერმანიის ჯარებმა ლიეჟი აიღეს. იმავე დეპეშის სიტყვით, ლიეჟის აღება გერმანელებს 15—20 ათასი კაცი დაუჯდათ. რამდენათ მართალია ამდენი კაცის მსხვერპლი, ეხლა ძნელი გამოსაანგარიშებულია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ უმსხვერპლოთ ლიეჟის აღება არც მოსახერხებელი იყო.

ლიეჟის ციხე-სიმაგრეები აგებულია 70. წლებში შესანიშნავ ინჟინერ ბრიალმონისაგან და თავის დროზე ევროპაში საუკეთესო სიმაგრეებათ ითვლებოდენ მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და ახალი ტეხნიკური გაუმჯობესობანი ფორტიფიკაციის საქმეში ლიეჟის სიმაგრეებს აღარ შეხებია. მეფე ლეოპოლდის დროს, ვიდრე ძალა კლერიკალების ხელში იყო, ყველა ფიქრობდა, რომ საფრთხე ინგლისელებისაგან უფრო იყო მოსალოდნელი, ვიდრე გერმანელების მხრივ. ამიტომ ბელგიელებმა ლიეჟის გამაგრებას თავი მიანებეს და გაამაგრეს უმთავრესად ანტვერპენი, რომელიც ამჟამად ევროპაში პირველხარისხოვან სიმაგრეთ ითვლება. ბელგიელების ანგარიშები ცხოვრებამ არ გაამართლა და სწორედ ვილჰელმის ჯარების წინაალმდეგ მოუხდათ ბრძოლა მათ.

სწორედ ასეთსავე მდგომარეობაშია მეორე ბელგიური სიმაგრე ნამიური. გერმანელები მთელის ძალით ეხლა ნამიურს მიადგებიან. ნამიურის გარდა მათ მოუხდებათ კიდევ რამდენიმე ფორტის აღება, სამხრეთ ბელგიაში, რომ საფრანგეთის საზღვარს მიადგენ, სადაც მათ საფრანგეთის მეორე ხარისხოვანი სიმაგრე ბომაგრე ბომეჟი და ლილი დახვდებათ.

## ბელგრადის აღება

რა ხდებოდა უკანასკნელ ოთხი დღის განმავლობაში ავსტრია-სერბიის ბრძოლის ველზე, დეპეშები არას გვატყობინებენ, მხოლოდ ეხლა ვტყობილობთ რუსეთის გაზეთებიდან, რომ ავსტრიელებმა ბელგრადი უკვე აიღეს.

ბელგრადის ალყა სამ დღეს გაგძელდა. სტრატეგიული მნიშვნელობა ბელგრადის აღებისა იმაში გამოიხატება. რომ ავსტრიელებს შეძლება ეძლევათ გადაიყვანონ თავისი ჯარები მდინარე ღუნაისა და სავაზე.

## საფრანგეთ-გერმანიის ომი.

აგრეთვე არ ვიცოდით რა ხდებოდა გერმანიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის ელზას-ლოტარინგიის საზღვარზე უკანასკნელი დეპეშა პარიზიდან შემდეგნაირად გვიხატავს მოპირდაპირეთა მოქმედებას. ფრანგები შევიდენ ელზასში და დაიკავეს ალტკრიხი და მიულგაუზენი. მიულგაუზენი ელზასის სამხრეთი ქალაქია და ბადენის საჰერცოგოდან ათი ვერსის მანძილზე სძევს. ომის შემდეგი ოპერაციებისთვის მიულგაუზენის დაკავებას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ექნება. ფრანგებს შეძლება ეძლევათ განუწყვეტელი კავშირი შექნან მიულგაუზენსა და ფრანგულ სიმაგრე ბელფორს შორის, მიუხედავათ ამისა საფრანგეთის ჯარები მიულ გაუზენში ვერ დადგებიან, და სტრასბურგისკენ უნდა გაეშურონ, რომელიც გაცილებით ჩრდილოეთით სდევს მიულგაუზენიდგან. ამ მიზნის განხორციელება კი ფრანგებისთვის შედარებით ძნელი იქნება, ვიდრე ისინი ელზას ლოტარინგიის საზღვრის სხვა ადგილებსაც არ გაარღვევენ.

მიულგაუზენის აღება თუმცა დიდი ფაქტია მიმდინარე ომისა, იმდენად დიდი, რომ საფრანგეთის მხედრთ მინისტრმა მესსიმიმ დეპეშითაც კი მიულოცა გამარჯვება გენერალისსიმუს ჟოფრერს, მაგრამ იგი სრულებით არ გვიხატავს ომის სრულ სურათს- რადგანაც არ ვიცით რა ხდება ამ ჟამათ ბრძოლის ველის სხვა პუნქტებში. მაგალითად, ჩვენ არ ვიცით რა ხდება საფრანგეთის ტერიტორიაზე, ლიუქსემბურგის საჰერცოგოს მხრივ, რომელიც გერმანიის ჯარმა თავის მოქმედების მთავარ ბაზად გაიხადა. თუ მართალია საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტის ვივიანის სიტყვები წარმოთქმული პალატაში, რომ გერმანელებმა თხუთმეტ ადგილას გადალახეს საფრანგეთის საზღვარი, უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური დაკავება გერმანელების ჯარისაგან რომელიმე ფრანგულ სიმაგრის-მოპირდაპირეთა შანსებს ათანაბრებს. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც უცბათ შეულიან შეცვალოს სურათი. ფრანგებისაგან ელზასის აღებამ შესაძლებელია მნიშვნელობა დაჰკარგოს, თუ გერმანელებმა მოახერხეს და ერთსა და იმავე დროს ორის მხრიდგან, ბელგიის საზღვრიდგან და ლიუქსემბურგიდგან შეესივნენ საფრანგეთს.

# სახელმწიფო საბჭო.

დილის ცხრა საათზე სახელმწიფო საბჭოს წევრები, მინისტრები, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მეთაურობით, სათათბიროს წევრები და სახელმწიფო კანცელარიის წევრები შეიკრიბნენ მარინის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც სასახლის ღვდელმა წაიკითხა უმაღლესი მანიფესტი და გადაიხადა სადღესასწაულო პარაკლისი მუხლმოდრეკით, რათა მიანიჭოს გამარჯვება რუსეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოთა მხედრობას. პარაკლისს შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრები გავიდენ სხდომათა დარბაზში. ადგილები მაყურებელთა და აგრეთვე სკამები მთავრობისა სავსეა ხალხით. კრება გახსნა საბჭოს თავჯდომარემ გოლუბევმა, რომელმაც წინადადება მისცა საბჭოს სხდომა დაიწყონ უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოცხადებით. დღეგრძელიც იყოს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა, წარმოსთქვა თავჯდომარემ. ამას მოჰყვა აღტაცებული ვაშას ძახილი და ჰიმნის სიმღერა. თავის გრძელ სიტყვაში თავჯდომარემ განმარტა, რომ რუსეთი ყოველთვის ძალას პოულობდა თავის ხელმწიფეებთან ერთად მოქმედებაში. სალამი უძღვნა მოკავშირეთა მხედრობებს და სიტყვა დაასრულა იმით, რომ სახელმწიფო საბჭო მზათ არის ყოველთვის თავი შესწიროს რუსეთის ღირსების დასაცავათ.

# სახელმწიფო სათათბირო.

**პეტერბურგი.** 26 ივლისი. ეკატერინეს დარბაზში, სახელმწიფო სასათბიროს სხდომის გახსნამდი ეპისკოპოზმა ანატოლიმ, სათათბიროს სამღვდელოების, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის, ყველა მინისტრის, სათათბიროს თავჯდომარისა და სათათბიროს მრავალი წევრის თანადასწრებით, მუხლმოყრილი გადაიხადა პარაკლისი, რათა მიენიჭოს რუსეთის მხედრობას გამარჯვება. ისტორიული ბრწყინვალე სხდომა სათათბიროსი გაიხსნა 3 საათზე და 35 წუთზე. თავჯდომარის ალაგს იჭერენ როძიანკო და მისი ორი ამხანაგი. მინისტრთა ლოჟაში, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, ყველა მინისტრი და მათი ამხანაგები სხედან. სათათბიროს წევრთა ადგილები გაჭედილია. ლოჟები დიპლომატიური კორპუსის მოხელეებისა, სახელმწიფო საბჭოს წევრებისა, სენატორებისა, ადმინისტრატიული და პრესის წარმომადგენელთა ჯერ კიდევ სხდომის გახსნამდი დაკავებული იყო. თავჯდომარე კითხულობს უმაღლეს ბრძანებას საკანონმდებლო დაწესებულების მიერ სხდომის განახლების შესახებ. უმაღლესი ბრძანების გამოცხადების შემდეგ თავჯდომარე აცხადებს: „გაუმარჯოს იმპერატორს!" გაისმის ხანგრძლივი ვაშას ძახილი.

თავჯდომარის ამხანაგი ვარუნსეკრეტი აცხადებს 20 ივლისის უმაღლეს მანიფესტს. მანიფესტის გამოცხადების შემდეგ როძიანკო აცხადებს; ხელმწიფე იმპერატორს ვაშა. სათათბიროს ყველა წევრის სკამებიდან ისმის [illegible] რომელიც მანიფესტისა და თავჯდომარის სიტყვებს ფარავს. [illegible] შემდეგ როძიანკომ სათათბიროს წევრებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ბ-ნნო სათათბიროს წევრნო, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ჟამსა განსაცდელისასა მოუწოდა სათათბიროს რუსეთის მეფისა და თავის ერთგულ ხალხის სახელით სათათბირომ უკვე უპასუხა თავის მეფეს ამ მოწოდებაზე დღევანდელ უმაღლესი მიღების დროს. ყველა ჩვენგანმა კარგათ ვიცით, რომ რუსეთს არ სურდა ომი, რომ რუსის ხალხი არ მიისწრაფის დაპყრობისკენ, მაგრამ თვით განგებამ მოისურვა ჩავრეულიყავით სამხედრო მოქმედებაში. კენჭი ამოღებულია და ჩვენს წინ მთელი თავისი სიგძე-სიგანით სდგას საკითხი სახელმწიფოს მთლიანობისა და ერთობის დაცვის შესახებ. და ამ, ქვეყნიურ ისტორიაში ჯერ კიდევ არ მომხდარ მოვლენის დროს სასიხარულოა ხილვა იმ დიდებული, ღირსებით შემკულ, სიმშვიდისა, რომელმაც მოიცვა ყველა ჩვენგანი, განურჩევლათ და რომელიც, გადაუჭარბებლათ, მთელი ქვეყნიერობის წინაშე ნათლათა და ხაზგასმით ააშკარავებს დიდებასა და ძალას რუსეთის სულიერი განწყობილებისას. (ხანგრძლივი ტაშისცემა, ხმები: ვაშა ყველა სკამზე). გულდამშვიდებითა და არა ამპარტავნულათ ჩვენ შეგვიძლია ჩვენზე მოსულ მტერს შევსძახოთ: „ხელები შორს!" ტაშისცემა, ყვირილი „ვაშა" ყველა სკამზე. არ გაბედოთ ხელის შეხება ჩვენის წმინდა რუსეთისა! ჩვენი ხალხი მშვიდობის მოყვარეა, კეთილი, მაგრამ მრისხანე, ძლიერი, როდესაც იძულებულსა ხდიან თავი დაიცვას (კიდევ ტაშის ცემა)„ გაფრთხილდით!" შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენ, თქვენ ფიქრობდით, რომ ჩვენ გვყოფდა ხალხის განხეთქილება და მოსტყუვდით: ყველა ერი რომელიც ვრცელ რუსეთს შეადგენს, შეერთდა ერთი ძმის ოჯახის სახით, როდესაც საერთო სამშობლოს განსაცდელი მოელის. რუსის გმირი სასოწარკვეთილებით არ ჩაქინდრავს თავს, როგორიც უნდა გასაჭირის გადატანა მოელოდეს მას, მისი ძლიერი მხარი შესძლებს უკუაგდოს მტერი და ხელახლა მოფინოს მშვიდობა ბედნიერება და კმაყოფილება. ერთი განუყოფელი სამშობლო თავისი ბრწყინვალე დიდებით შესძლებს ყველა ამას.

ბ-ნნო სათათბიროს წევრნო! ჩვენი აზრი და მისწრაფება არის იქ, ჩვენს საზღვრებზე, სადაც განუწყვეტელათ სწარმოებს ბრძოლა, სადაც ჩვენი ძლევა მოსილი ჯარი, ჩვენი დიდებული და გულადი ფლოტია (ტაშისცემა ყველა სკამზე) ჩვენ აზრით ვიმყოფებით იქ, სადაც ჩვენი შვილები და ძმები გამოხატვენ ჩვენი სამშობლოს დიდებას, მათდამი მინიჭებული ძლევამოსილობით. მიანიჭე მათ გამარჯვება უზენაესო განგებავ, გაამაგრე ისინი და ფარველე მათ!

# პატარა სერბიის ბრძოლა დიდი სერბიის იდეისათვის.

ჰაერი დიდი ხანია ელექტრონით იყო გაჟღენთილი და საშინელი ქარიშხალი ადრე თუ გვიან აუცილებელი იყო. თუ პირველი მეხი სახელდობ სერბიის ტერიტორიას დაეცა ეს არაა გასაკვირალი. აქ კარგა ხანია დაგროვილი იყო მასალა, ელექტრონის ძალას რომ იზიდავს და ალსა და კვამლს ქმნის.

სერბთა სურვილები და იდეალები მძაფრად ეწინააღმდეგება მათ თანამედროვე მდგომარეობას. ეს ხალხი ოცნებობს დიდი სერბიის შექმნაზე: დღეს კი დაქსაქსული და დანაწილებულია, უძლური პოლიტიკურად და კულტურულად.

ევროპის კანტინენტზე ათ მილიონამდი სერბი სცხოვრობს. ამ რიცხვიდან სამ მილიონ ნახევარზე ცოტა მეტი თვით დამოუკიდებელ სერბიაზე მოდის, ნახევარ მილიონზე მეტი სერბთა ხალხისა ავსტრია-უნგრეთის საზღვრებშია მოქცეული. ავსტრია-უნგრეთს ეკუთვნის ბოსნია ჰერცეგოვინა, დალმაცია, ტემესვარი. ეს პროვინციები კი უმეტეს ნაწილად წმინდა სისხლის სერბებითაა დასახლებული. ავსტრია-უნგრეთსავე ეკუთვნის კროაცია. კროატები კი იგივე სერბები არიან წარმოშობით და ენით: მათ სხვა სერბებისაგან აცალკევებს მხოლოდ ისტორიული წარსული, ფაქიზი კულტურა და კათოლიკური რწმენა.

სერბები ბევრად უფრო მთლიანს ერთეულს წარმოადგენდენ როცა ისინი პირველად გამოვიდენ ისტორიულ ასპარეზზე. მართალია მაშინ ისინი დაყოფილი იყვენ პატარა თემებით რომელთაც ერისთავები („ჟუპანები") მეთაურობდენ, მაგრამ თვით თემებს შორის არსებითი განსხვავება არ ყოფილა. მეშვიდე საუკუნის დასაწყისში ნახევრად ველური სერბის თემები ბიზანტიის საზღვრებში შეიჭრენ, სადაც მათ იმპერატორებმა მოუწოდეს ავარებთან საბრძოლველად: აქ მათ დაიჭირეს ცალიერი ტერიტორია დუნიასა, დრავასა, ტიმოკსა და ადრიატიის ზღვის შორის.

ჩრდილოელი სერბები რომის კულტურულ გავლენას დაექვემდებარენ, სამხრეთელნი კი ბიზანტიისას. კროატელებმა და დალმაციელებმა მეშვიდე საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა რომაელი მისსიონერების შემწეობით; მორაველი სერბები და ჩერნოგორელები კი კირილემ და მეთოდემ მოაქციეს მეცხრე საუკუნის დასასრულს.

ამ ხანიდან იწყება სერბთა ხალხის გათიშვა კულტურულად. ჩქარა ამ გათიშვას პოლიტიკური დანაწილებაც ემატება. 892 წ. ჩრდილოელმა ტომებმა კროაციის სამთავრო დაარსეს; 924 წ. ეს სამთავრო სამეფოდ გარდაიქცა: 1092 წ. კროაცია უნგრეთს შეუკავშირდა პერსონალური უნიით. 1775 წ. მარია ტერეზიამ კროაციის დამოუკიდებლობა მოსპო და უნგრეთს შეუერთა უბრალო პროვინციის სახით.

მარია ტერეზიას დეკრეტმა დააკმაყოფილა მადიარები, მაგრამ ააღელვა კროატელები. დაიწყო ბრძოლა კროაციის ავტონომიისათვის, რომელიც სავსებით დღესაც არ დამცხრალა. 1848 წ. როცა მადიარები აუჯანყდნენ ჰაბსბურგის დინასტიის და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება მოიწადინეს, კროატელებმა ცნობილი მხედართ-მთავარის იოსებ იელაშიჩის მეთაურობით დაუფასებელი დახმარება გაუწიეს ავსტრიელებს.

დღეს კროაცია უნგრეთის ავტონომიური ნაწილია. მას აქვს ზაგრებში საკუთარი პარლამენტი, რომლის კომპეტენცია სწვდება შინაგან საქმეებს, სასამართლოს, სახალხო განათლებას. პარლამენტის გვერდით სდგას ,,ბანი'', როგორც აღმსრულებელი ძალის წარმომადგენელი. საერთო საქმეების გადასაწყვეტად (არმია, საგარეო პოლიტიკა და ვაჭრობა და სხ.) კროატელები ორმოცს დეპუტატს გზავნიან ბუდაპეშტის პარლამენტში, ხოლო სამს მაგნატთა საბჭოში.

ასეთი მდგომარეობა საერთოდ აკმაყოფილებს კროატელთა უმრავლესობას. ჯერ ჯერობით ის ოცნებობს ავტონომიის გაფართოებაზე და არა სრულს გამოყოფაზე ავსტრია-უნგრეთის მონარქიიდან. დიდი სერბიის იდეას მხოლოდ ინტელიგენციის ერთს ნაწილში აქვს გამდგარი ფესვი.

თვით სერბიის სამეფოში პირიქით ამ იდეათა მთელი ხალხია გამსჭვალული უბრალო მეღორესა და მიწის მუშიდან დაწყებული მთავრობის უმაღლეს წარმომადგენლებამდი. ეს გარემოება ისტორიული ტრადიციითაც აიხსნება.

ამ ხალხს დიდი წარსული ქონდა და ხსოვნაც შერჩა ამ წარსულისა. მეცამეტე საუკუნის დასაწყისში მან დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსა, მეთოთხმეტეში თავისი „ოქროს ეპოქა" განიცადა. სტეფან დუშანმა შექმნა იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო ადრიატიკის ზღვიდან შავს ზღვამდი და დუნაიდან არქიპელაგამდე. ეს იყო „დიდი სერბია"- ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე. სტეფან დუშანის სიკვდილს მოყვა "ვოევოდების" ანუ ფეოდალების გაძლიერება და ცენტრალური მართველობის დასუსტება. ჩქარა ოსმალებიც გაჩნდენ.

1389 წელს ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს სერბთა ჯარი კოსსოვოს მინდორზე; 1453 წელს მათ დაიპყრეს ბოსნია, 1459 წ. თანამედროვე სერბია, 1482 წ. ჰერცოგოვინა.

ოსმალთა ბატონობა ულმობელი იყო. ის გაგრძელდა სამს საუკუნეზე მეტს და ამ ხნის განმავლობაში სერბთა ერი დაქვეითდა კულტურულად, გაღარიბდა ეკონომიურად. ხალხი გარუაიქცა „რაიად", ე. ი. ჯოგ-ად, გაება ორმაგი ფეოდალიზმის უღელში: სერბიის ,,ბეგების'' გვერდით გაჩნდენ ოსმალელი ,,სპაჰები'', ჩვეულებრივ გადასახადებს მიემატა ,,ჰარაჯი—სისხლის გადასახადის. ქრისტიანებს აეკრძალა ყოველივე წინააღმდეგობა მაჰმადიანებისადმი, თვით ცხენზე ჯდომა და იარაღის ტარება.

მაგრამ ოსმალებმა ხელუხლებლად დასტოვეს ენა, სარწმუნოება, კანონები და მონასტრები დაპყრობილთა. მათ არ შეურყევიათ აგრეთვე ლოკალური თვითმმართველობა სერბებისა. ამ უჯრედებში კი ეროვნული სული თანდათან გაძლიერდა და გაღვივდა.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს იფეთქა პირველმა აჯანყებამ ოსმალთა წინააღმდეგ. ეს აჯანყება იმთავად უფრო იანიჩარების თვითნებობის ალაგმვას ლამობდა, ვიდრე სულთანის მმართველობის მოსპობას.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სერბებს მოევლინა შესანიშნავი მეთაური, ყოფილი მეღორე ყარა გიორგი, დღევანდელი დინასტიის წინაპარი. 1806 წ. მან მიშართან 9000 სერბისა და ორის ზარბაზნის შემწეობით დაამარცხა 30000 ოსმალო ძლიერი არტილერიით აღჭურვილი. 1813 წ, ოსმალეთმა ისარგებლა იმ გარემოებით რომ რუსეთი ომში გაება ნაპოლეონთან და 200,000 მხედარით თავს დაესხა სერბიას. ამ უკანასკნელმა მხოლოდ 34000 ჯარის კაცის წამოყენება შესძლო. უნაყოფო წინააღმდეგობის შემდეგ ყარა გიორგიმ ცეცხლი წაუკიდა ბელგრადს, თვითონ კი აჯანყების მეთაურებთან ერთად ავსტრიაში გაიქცა.

გამარჯვებული ოსმალონი ცეცხლით

**ნაცვლათ გაზეთ იმერეთის · კანტორისა, გაზეთი იმერეთის ცალკე ნუმრები (ი)ყიდება ოცხელისა და მთავრიშვილის წიგ. მაღაზიაში.**

და ჩვენი მხურვალე სურვილი გამარჯვებისა და დიდებისა ყოველთვის იქნება მათთან. ჩვენ, ვინც სახლში ვრჩებით, მოვალეთ ვხდით ჩვენს თავს, დაუღალავათ ვიშრომოთ იმ ოჯახთა დასახმარებლათ, რომელნიც დარჩენ უმწეოთ, ოჯახის მარჩენელი პირის ომში გაწვევით.

დეე, ჩვენმა ჯარებმა იცოდენ, რომ ჩვენ, სიტყვით კი არა, საქმითაც შევეცდები არ ჩავარდენ მათი ოჯახები უკიდურეს გაჭირვებაში. (ხანგრძლივი ტაშისცემა ხმები: ვაშა. დეპუტატები ადგებიან, გალობენ ჰიმნს ღმერთო ფარვიდე მეფეს). ლაპარაკობს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე. მიმართავს დეპუტატებს. ბ-ნნო სათათბიროს წევრნო! ამ თვის 20 ივლისს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება თქვენი სხდომების განახლების შესახებ, რომელიც ერთი თვის უკან, როგორც მაშინ გვეგონა, ღრმა-მშვიდობიანობაში შესწყდა. ამ ერთ თვეში მოხდა დიდებული ისტორიული მოვლენები, რომელიც რუსეთისა და ევროპის ცხოვრებას თავს ატყდებოდა ერთიმეორეზე როგორც მეხი და რომელიც დიდიხანია მოამზადა ისტორიის უხილავმა მსვლელობამ. გარეშე საქმეთა მინისტრი წარმოგიდგენსთ თქვენ მოხსენებას იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ევროპის ომი. რუსეთს არ სურდა ომი, მთავრობა კეთილსინდისიერათ ეძებდა იმ მშვიდობიან გამოსასვლელ გზას, რომელიც გამოიყვანდა ამ გართულებულ მდგომარეობიდან და მცირე იმედსაც კი არ კარგავდა, რათა თავიდან აეშორებია მოვლინებული სისხ-ის ქარიშხალი, მაგრამ ხომ აქვს რუსეთის მშვიდობიანობის მოყვარეობასაც თავის საზღვარი? მისს იმპერატორობითი უდიდებულესობამ, იცოდა რა ის მძიმე პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებული აქვს მას, არ შეეძლო დამშვიდებით უკან დაეხია. მტრის გამოწვევა, ეს ნიშნავდა დიდ სახელმწიფოთა შორის რუსეთის მდგომარეობის უარყოფას, ეს იქნებოდა მომაკვდინებელი შეცდომა, რომელიც ჩვენ დაგვამცირებდა.

ომი უკვე დაწყებულია და ჩვენ დაგვრჩენია მთელის ქვეყნიერების გასაგონათ გავიმეოროთ სიტყვები: ჩვენ მივიყვანთ ომს, როგორიც უნდა იყოს იგი, ბოლომდი. (ხანგრძლივი ტაშისცემა) რუსეთის მრავალ საუკუნიან ისტორიაში მხოლოდ სამამულიშვილო ომი 1912 წლისა თავისი შინაარსით უდრის დღევანდელ ომს. მერწმუნეთ, ბატონებო, რომ მთავრობა დაბრმავებული არაა თვით იმედებით, იგი ნათლათ უწევს თავის თავს ანგარიშს იმაში, რომ ეს ომი მოითხოვს ჩვენი ძალების დიდ ენერგიას, ბევრ მსხვერპლს, მაგრამ მთავრობას შეურყევლათ სწამს საბოლოო გამარჯვება, ვინაიდან მას (მთავრობას) უსაზღვროთ სწამს რუსეთის დიდი ისტორიული მოწოდება (ტაშისცემა) მტრისგან ომის გამოცხადების შემდეგ, მთავრობას არ შეეძლო შეჩერებულიყო იმ კითხვის გადასაწყვეტათ, თუ საიდან დაფაროს ომისაგან გამოწვეული აუარებელი ხარჯი. ომმა მოგვასწრო ჩვენ ფინანსიური მხრით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მთავრობას არავითარ საშიშროებას არ უქადის. ფინანსთა მინისტრი გაცნობებთ თქვენ იმ ზომების შესახებ, რომელიც განზრახულია მიიღოს მთავრობამ პირველათ. ამ ზომების მიღების საჭიროება იყო ერთი მიზეზთაგანი საკანონმდებლო დაწესებულებათა მოწვევისა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული და არც ისე უმთავრესი მიზეზია. მოწვევა საკანონმდებლო საბჭოსი და სათათბიროსი უფრო ღრმა მოსაზრებით იყო გამოწვეული, და ეს მოსაზრება ნათლათ განმარტებულია უმაღლესი ბრძანების შემდეგ სიტყვებში: მსურს რა ვიყო ხალხთან ერთად, კეთილ ვსცანით მოგვეწვია სახელმწიფო საბჭო და სათათბირო. (ხმები: ვაშა, ტაშისცემა) საკანონმდებლო დაწესებულებებმა უნდა იცოდენ, რომ იგინი კვლავაც არაჩვეულებრივათ იქნებიან მოწვეული, თუ ამას დროთა ვითარება და განსაკუთრებული პირობები მოითხოვს. (ტაშის ცემა). თქვენ წილათ გხვდათ დიდი და პასუხსაგები საქმე — იყოთ გამომთქმელი ხალხის აზრისა და ხალხის გრძნობისა. მთავრობა ყოველთვის ასრულებდა და აასრულებს კიდეც თავის მოვალეობას ბოლომდის. ახლა თქვენი ჯერია, ბ-ნნო სათათბიროს წევრნო!! ამ დიად ისტორიულ წუთში მოგიწოდებთ თქვენ მთავრობის სახელით და გთხოვთ ყველას. განურჩევლათ პარტიისა და რწმენისა, განიმსჭვალოთ აზრით მეფის მანიფესტისა და დაივიწყოთ შინაური უთანხმოება. (ხმები: ვაშა, ტაში) და შეიკრიბნეთ ერთი დროშის ქვეშ, რომელსაც აწერია ყველასათვის უდიდებულესი სიტყვები: **„მეფე და რუსეთი“**. ტაშისცემა).

სიტყვა ეძლევა გარეშე საქმეთა მინისტრს. მინისტრი ტრიბუნაზე ადის. საბჭო დიდი ოვაციით ეგებება. მინისტრი ვრცლათ შეეხო ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიასთან მოლაპარაკებას და სთქვა: ჩვენ ყოველივე ღონე ვიხმარეთ, რომ ჩაგვექრო ეს ომი და მშვიდობიანათ დასრულებულიყო, მაგრამ ვენის კაბინეთმა ჩვენს გადადგმულ ნაბიჯს არ თანაუგრძნო. გერმანიას შეეძლო თავისი გავლენით შეეჩერებია მომავალი სისხლის ღვრა, როგორც ეს მან ბალკანეთის კრიზისის დროს მოახდინა, მაგრამ ეს არ ინება და ჩვენც იძულებული შევიქენით ღირსეული პასუხი გაგვეცა. სიტყვის გათავების შემდეგ მინისტრს ოვაციას უკეთებენ. ამას შემდეგ თავჯდომარე სათათბიროს უცხადებს, როს აქ არიან უცხო მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენელი დეპუტატები. მათ ტაშისცემითა და ცხვირსახოცის ქნევით ესალმებიან. როძიანკო წინადადებას იძლევა — გაუგზავნოს მისალმების დეპეშები სერბიასა და ჩერნოგორიის სკუპშჩინებს და აგრეთვე საფრანგეთისა, ინგლისისა და ბელგიის პარლამენტებს. სათათბირო წინადადებას ღებულობს.

ლაპარაკობს ფინანსთა მინისტრი. მან აღნიშნა, რომ საჭირო იყო არა მარტო სამხედრო მობლიზაცია. არამედ მობილიზაცია ფინანსებისაც, რათა დაკმაყოფილდეს არამარტო ომის საჭიროებანი, არამედ ვაჭრობა-მრეწველობის საჭიროებანიც. ფინანსთა მინისტრი ირწმუნება, რომ ფინანსიური მდგომარეობა სასურველ დონეზეა დაყენებული და ხაზინა ყოველთვის დახმარებას გაუწევს ვაჭარმრეწველთა.

სხვადასხვა ფრაქციისა და ეროვნების ორატორები ამოწმებენ, რომ ყველა წრის მცხოვრები ერთგულათ და ერთ სულათ ემსახურებიან სახელმწიფოსა და სამშობლოს საერთო საჭიროებას.

---

და მახვილით გაუსწორდენ დამარცხებულთ. ამით კიდევ უფრო გააღვივეს სიძულვილის და შურისძიების გრძნობა.

1815 წელს ხელახლა დაიწყო აჯანყება. მისი მეთაურობა იკისრა მილოშ ობრენოვიჩმა, უბრალო მეღორემ წარმოშობითა ოსმალები რამოდენიმეჯერ სასტიკად დამარცხდენ და სულთანი იძულებული შეიქნა დათმობის გზას დასდგომოდა. სერბიამ მიიღო შეკვეცილი ავტონომია, მილოში დაინიშნა „უმაღლეს კნეზად“.

1830 წელს სერბია ვასსალურ სამთავროდ იქნა აღიარებული. 1833 წელს მუსულმანებს ებრძანა ქონების ლიკვიდაცია მოეხდინათ და სერბიის ტერიტორია დაეტოვებინათ. 1867 წელს სერბიის ციხეები საბოლოოდ დასცალეს ოსმალო ჯარის-კაცებმა. ამ ხნიდან სერბიის დამოკიდებულება, განისაზღვრებოდა მხოლოდ ყოველწლიური გადასახადით, რომელსაც ის უგზავნიდა უმაღლეს პორტას.

1838 წელს სერბიამ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-ოსმალეთის ომში და ნიში დაიპყრო. ამავე წელს ბერლინის ზავმა სერბია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

ბერლინის ხელშეკრულობამ სავსებით ვერ დააშუშა სერბთა ერის ჭრილობები. მან ოსმალეთს ჩამოაცალა ბოსნია და ჰერცეგოვინა და ავსტრია-უნგრეთს გადასცა დროებით მმართველობაში. ავსტრია-უნგრეთმა ამ ორს პროვინციას ანექსია უყო ამ ხუთი წლის წინად და ამით სერბიის ეროვნულ იდეალებს ფრთები შეაკვეცა.

მაგრამ ეს ადგილები დღეს კიდევ უფრო აღელვებენ სერბებს, ვიდრე ამ ხუთი წლის წინად. უკანასკნელ ბალკანეთის ომში მათ დაიპყრეს ნოვი-ბაზარი, ძველი სერბია და მაკედონიის ნაწილი. ამიერიდან სერბიის ბუნებრივი ზრდა მხოლოდ ავსტრიის მხრით შეიძლება: მიტომ რომ სერბთა მიერ დასახლებული პროვინციები ამ საქელმწიფოშია მოქცეული.

ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობს ღრმა და შეურიგებელი ანტაგონიზმი სერბიისა და ჰაბსბურგთა მონარქიის შორის. ეს არაა ბრძოლა გერმანელებისა სლავიანებთან, როგორც ზოგიერთს გონია. ავსტრია არაა ეროვნული სახელმწიფო: ის ეროვნებათა კონგლომერატია და ამ კონგლომერატში უდიდესი ნაწილი სლავიანებს ეკუთვნის და არა გერმანელებს.

მეცხრამეტე და მეოცე. საუკუნის ისტორიის ახასიათებს ბრძოლა ეროვნულ სახელმწიფოთა შესაქმნელად. სერბები ჩამორჩენ ამ ბრძოლაში. მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო უფრო ვიწროდაა შემოფარგლული, ვიდრე მათ მიერ დასახლებული ტერიტორია. ამიტომ მათი ომი ავსტრიასთან აუცილებელი ეპიზოდია იმ ეპოქის, რომელსაც მომავალი ისტორიკოსი ეროვნულ ბრძოლათა საუკუნეს უწოდებს.

გერონტი ქიქოძე.

---

## რუმინია.

რუმინიამ თავისი ჯარები ავსტრიის საზღვრებისკენ გადაიყვანა. ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც რუმინიის ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედება საგრძნობლად შესცვლის ავსტრიის ჯარების დანაწილებას მეომარ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ამჟამად რუმინიის ხუთი კორპუსი და ერთი განსაკუთრებული დივიზია ყავს, თითო კორპუსში დივიზიაა, ერთი მომქმედი და ერთი რეზერვი, რუმინიის კორპუსი 43 ბატალიონი ქვეითა ჯარისა. 10 ესკადრონი კავალერიისა, 29 საველე და და ოთხი გაუბიცთა ბატარეისაგან და ოთხი როტა საინჟინერო ჯარებისგან შესდგება — რიცხვით სულ 58,000 კაცი, 132 ზარბაზნით და 46 ტყვიისმტყორცნელით. ამას გარდა საარმიო კავალერია შესდგება ორი საკავალერიო დივიზიისგან, თითო-ოროლ პოლკისგან შემდგარ სამის ბრიგადისგან. საერთოდ, საკავალერიო დივიზიაში ირიცხება 24 ესკადრონი. 8 ზარბაზანი და 6 ტყვიის მტყორცნელი.

რუმინიის მთელ ჯარში საერთოდ ითვლება 232 ბატალიონი ქვეითა ჯარისა, 105 ესკადრონი კავალერიისა. 175 ბატარეია და 33 როტა საინჟინერო ჯარებიდან. მათი საერთო რიცხვი შეადგენს: 328.000 ჯარისკაცი, 700 ზარბაზანი და 260 ტყვიისმტყორცნელი.

ამას გარდა ომის დროს რუმინიას შეუძლიან გამოიყვანოს 40 ბატალიონი მილიციისა და 10 ბატარეია ძველის არტილერიისა, რაც 42.000 ჯარის კაცს და 40 ზარბაზანს უდრის.

ამ რიგად ჯარის მთელი რიცხვი უდრის 570.000 კაცს 740 ზარბაზნით.

ასეთის ძალის წინააღმდეგ ავსტრიას დასჭირდება არა ნაკლებ ხუთის კორპუსისა.

## სანიტარული გაფრთხილება.

არა თუ ომიანობის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც კი საჭიროა სანიტარული გაფრთხილება, რომ თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა გადამდები სენი, რომელიც ტყვიაზე ნაკლებ არ ანადგურებს ხალხს.

ქუთაისში ერთი საშინელი სენი არის დაბუდებული, რომელიც ზამთარშიაც და ზაფხულშიც — მუდამ მძვინვარებს და აუარებელ მსხვერპლს იწირავს. ეს არის მუცლის სახადი, ან ტიფი.

როგორ ჩნდება, როგორ ედება ის კაცს? ქალაქის თავში მცხოვრები ტიფიანის განავალი, რომელშიაც ტიფის ბაცილაა, ჩადის რიონში. შემდეგ რიონის წყალს, ხსენებული ბაცილებით მოწამლულს, სვამს ვინმე და ხდება ავათ ტიფით.

მაშასადამე, ტიფის საწინააღმდეგო საუკეთესო სანიტარულ საშუალებად — ფეხისადგილების დეზინფექცია უნდა ჩაითვალოს. მოსპევით ტიფის ბაცილები ფეხსადგილებში, — და მათგან რიონში ჩამორეცხილი განავალი საშიშარი აღარ იქნება ტიფის გადიდების მხრით.

საუკეთესო სადეზინფექციო საშუალება კი კირწყალია. აიღეთ გაუქრობელი კირი, დაასხით ერთი იმდენი წყალი და აურიეთ, შემდეგ თან აურიეთ და თან ნელ-ნელა დაასხით კიდევ ორი-სამი წილი წყალი, ათქვიფეთ და ჩაასხით ტიფიანის განავალს ქოთანში და შემდეგ ფეხისადგილში. რაც მეტი იქნება კირწყალი, მით უკეთ დახოცავს ხსენებულს გადამდებ ბაცილებს.

კარგია აგრეთვე კარბოლის სიმჟავე, თითო ჩაის ჭიქა თბილ წყალში ჩაასხით ორ-ორი ჩაის კოვზი კარბოლის გათხელებული სიმჟავე და დაასხით ტიფიანის განავალს ქოთანში. ფეხისადგილსაც ძლიერ უხდება ამგვარივე ხსნილი, მაგრამ ძვირად ჯდება.

არის კიდევ ბევრი სხვა სადეზინფექციო მასალა, მაგრამ ყველას აქ არ აღვნიშნავ.

ერთი კარგი საშუალება კიდევ, რომ ტიფი არ შეიხვედრო, არის გადადუღებული წყლის სმა. დუღილი ჰკლავს ბაცილებს. მაშ ადუღეთ რიონის წყალი, გააციეთ და სვით, რამდენიც გნებავსთ.

ჭის წყალი საშიშარია, თუ ახლოს არის ფეხსადგილი, რადგან აქიდან — მეტადრე წვიმის დროს — შედის ჭაში განავლის ნარეცხი, რომელშიაც შეიძლება იყვნენ ტიფის ბაცილები. ამას გარდა ჭა ხშირად ამგვარად იწამლება: ტიფისაგან ახალი მორჩენილი, რომელსაც შეიძლება პირში ჰქონდეს ტიფის ბაცილები, სვამს წყალს ვედროთი და შემდეგ ამ ვედროსავე ხმარობენ წყლის ამოსაღებად.

მაშასადამე, არც ჭის წყალი უნდა სვათ აუდუღარი.

რა გზითაც ვრცელდება და ედება ხალხს მუცლის ტიფი, იმ გზითვე ვრცელდება ხოლერაც. მაშასადამე, ნუ სვამთ აუდუღარ წყალს, თუ გინდათ თავიდან აიცილოთ ხოლერა!

დანარჩენის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ექიმი ვასილ წერეთელი.

## ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

27 ივლისს, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის აღმასრულებელს თავ. გ. ერისთავს მის იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან შემდეგი დეპეში მოუვიდა:

ქუთაისის თავად-აზნაურობას უღრმეს მადლობას ვუცხადებ ტახტის ერთგულებისა და ჩვენი საერთო სამშობლოს რუსეთის სამსახურისთვის. **ნიკოლოზი.**

ეს დეპეში სამადლობელი არის 26 ივლისს თავად-აზნაურთა პარაკლისის გადახდისა.

✦ მანიფესტაცია. ორშაბათს, 28 ივლისს, ქუთაისში ვაჭრებისა და ხელოსნების მეთაურობით დიდი მანიფესტაცია მოხდა. ჯერ ქალაქის ბაღში, დიდძალი ხალხის თანდასწრებით, გადახდილი იქნა პარაკლისი რუსეთის ძლევა-მოსილი ჯარის გასამარჯვებლათ. პარაკლისის დროს მთელი სავაჭროები და სახელოსნოები რამდენიმე საათით დახურული იყო. პარაკლისი ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხმა მოისმინა. ებრაელებმა მიიტანეს იმპერატორის დიდი სურათი და ბაირაღი ქართულ-რუსული წარწერით „გაუმარჯოს რუსეთს!“ Да здравствуетъ Россія“. პარაკლისის გათავების შემდეგ მეფის სურათს დიდი ოვაციები გაუმართეს, ხალხში გაისმოდა „გაუმარჯოს რუსეთს“ და ვაშას ძახილი. შემდეგ დიდძალი შეკრებილი ხალხი გუბერნატორის სადგომისკენ გაემართა. გზაზე სამხედრო მუსიკა უკრავდა „სამეფო ჰიმნებს“. გუბერნატორი სახლიდან დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. მან ხალხს სიტყვებით მიმართა. იქვე რამდენიმე პირებმა სთქვა სიტყვები. შემდეგ ხალხი უკან დაბრუნდა და ქალაქის თეატრთან მშვიდობიანათ დაიშალენ.

✦ **მოწოდება ქუთაისის ქალაქის მოურავისა. მოქალაქენო!** რადგან დღეს სწარმოებს საშინელი, უმაგალითო ომი, თითოეული თქვენგანი ზნეობრივათ ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ომის საშინელების შემსუბუქებას. ომით გამოწვეული საშინელებათაგან ყველაზე უფრო შემზარავია შიმშილი. ჩემგან შეკრებილი ცნობები [illegible] ცებენ, რომ ქუთაისის [illegible] ჭრეებმა, ისარგებლეს რა შავბნელ ომიანობის დროით, ხელოვნურად გაძვირეს ხალხისთვის აუცილებელი სანოვაგე: პური, ხორცი, შაქარი, ნავთი და სხ. ამ დროს ამგვარი მოქმედება შეუწყნარებელია, სამარცხვინოა. ნუ დაივიწყებენ სანოვაგით მოვაჭრენი, რომ ისინიც მოქალაქეთა სახელს ატარებენ და ამისთვის მოვალე არიან თავის ქალაქის და ქვეყნის წინაშე არ დაამშიონ ღარიბ-ღატაკი მცხოვრებლები, არ დაამშიონ ღვთის ანაბარად მიტოვებული ცოლშვილი ომში გაწვეულ ჯარისკაცებისა.

შიშს ადგილი არ უნდა ქონდეს. ხალხისთვის საჭირო სანოვაგის სიმცირე დროებით მოვლენას შეადგენს. ბ. გუბერნატორისა და ქალაქის თვითმართველობისაგან უკვე მიღებულია საჭირო ზომები, რომ რკინის გზამ სანოვაგე დაჩქარებით მოაწოდოს ჩვენს ქალაქს.

სანოვაგით დაინტერესებულთ ვსთხოვ მიმართონ განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც ჩემის თავჯდომარეობით ირკვევს სანოვაგის საკითხებს.

ქალაქის მოურავი იღ. **ჩიქოვანი.**

✦ მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ 28 ივლისს 100 მანეთით დააჯარიმა მედუქნე ილია მეკინოვი უბანდეროლოთ საქონლის გაყიდვისათვის.

✦ როგორც ქ. ფოთიდან გვწერენ, 23 ივლისს, ღამით, ვაჭარ ვ. ესებუას დუქანში შევარდნია ვიღაც 4 ბოროტგამზრახველი და ფული მოუთხოვიათ. ერთი მათგანი პირახვეული ყოფილა. მათ დუქნიდან 400 მანეთი გაუტაციათ და მიმალულან. ეჭვით ერთი კაცი დაუპატიმრებიათ.

✦ 28 ივლისს ქალაქის თვით მართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანის თავჯდომარეობით. კრებაზე თავჯდომარემ მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, რომ მათ უნდა შეადგინონ, თანახმათ მთავრობის მოთხოვნილებისა, იმ სათანადო კარის კაცების სიები, რომელნიც გაწვეულნი არიან და მათი მშობლები კი ღვთის ანაბარათ დარჩენ. კრებამ ეს მოხსენება მოიწონა და ქალაქის გამგეობას მიანდო რომ ასეთი სიები მან შეადგინოს.

ამავე კრებაზე დაადგინეს, გადახდილ იქნას ქალაქის გამგეობისაგან პარაკლისი, რათა რუსის მხედრობას და მთელ რუსეთს გამარჯვება მიანიჭოს უზენაესმა განგებამ.

✦ ქუთაისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსი გვთხოვს გამოუცხადოთ, რომ, მისდა რწმუნებულ კონტორაში, უფროსი გამგის განკარგულებით იყიდება წიგნაკები, რომელშიდაც არის 18 თითო კაპ. მარკა, 6 სამ კაპ. და 6 შვიდ კაპ. სულ 68 კაპ. და იყიდება 80 კაპ. არის აგრეთვე 3 და 7 კ. თვრამეტ-თვრამეტი ცალი 1 მან. და 90 კაპ. ღირებული, რომელიც 2 მანეთად იყიდება.

✦ ქუთაისის საზაფხულო საკრებულო დარბაში ხშირად იმართება საღამოები. საკრებულოს დარბაზი, რომელიც მდებარეობს ივანოვის ქუჩაზე ირგვლივ ხშირი მოსახლეებით არის გარშემორტყმული. საღამოებზე განუწყვეტლივი რაკეტების სროლა (დაიწყება საღამოს 9 საათზე და გძელდება ნაშვალამების 3 საათამდე) მუზიკაზე თამაში შეზარხოშებულთა სიმღერა (რომელიც დრო გამოშვებით ყვირილათ იცვლება) მშვიდ მცხოვრებლებს ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს. საჭიროა მცხოვრებელთა საკეთილდღეოთ კლუბში რაკეტების სროლა და მუზიკაზე თამაში განისაზღვროს შვაღამის 12 საათამდე და სიმღერები სრულიად აიკრძალოს. გვჯერა ამ შენიშვნას საკრებულოს მესვეურნი ყურადღებას მიაქცევენ.

**ახალი ნიხრი.** ქალაქის გამგეობამ 23 ივლისს პურზე შემდეგი ფასი დააწესა. პირველი ხარისხის ფურნის პური უნდა იყიდებოდეს ოყა 14 კაპ. მეორესი 13 კაპ. და მესამესი 11 კ. თორნის პირველი ხარისხის 15 კაპ. მეორესი 14 კაპ. და მესამესი 12 კაპ.

24 ივლისს დაადგინა ხორცის ნიხრი. უცხო ჯიშის საქონლის ხორცი უნდა იყიდებოდეს გირვანქა პირველი ხარისხის

საავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზოგიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის წიგნები,
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო რთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოსტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаиской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

16 კაპ. და მეორესი 15 კაპ. ადგილობრივის პირველი ხარ. 14 კაპ. მეორესი 13 კაპ. ძუძუმწოვარა ხბოსი 15 კაპ. სუკი 20 კაპ. ხბოსი 14 კაპ. ცხვრის 14 კაპ. ღორის 14 კაპ. და კამეჩის 9 კაპიკად.

✦ კვირას, 27 ივლისს, დილით მდინარე რიონში საბანაოთ ჩავიდა სომხის მღვდელი აბოტ ტერ-ისრაილიანცი. იგი ჩავიდა თუ არა წყალში, მდინარემ გაიტაცა. ყვირილი გაიგონა თეთრ ხიდთან ორმა ჯარის კაცმა და წყლიდან ამოიყვანეს. იგი საავათმყოფოში წაიყვანეს მაგრამ მალე გადაიცვალა.

✦ წვრილი კრედიტის ინსპექტორს კ. ლონტს განძრახვა აქვს, გურიაში მოაწყოს წვრილი კრედიტის ამხანაგობა: ,,სამაზრო კავშირი''.

✦ ქუთაისში ამ ჟამად უნავთობის გამო 69 ფარნის მეტი არ ინთება ღამ-ღამობით.

✦ მომრიგებელმა მოსამართლემ მეთორნე სამსონ ცუცხვაშვილი 3 მანეთით დააჯარიმა, სანიტარული წესის დარღვევისათვის.

## საზარელი დრამა რომანიულ ნიადაგზე.

ამ დღეებში ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის შენობაში საზარელი ამბავი დატრიალდა: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ნამყოფმა კირტაძემ დანით მოჰკლა ფოსტა-ტელეგრაფშივე მოსამსახურე ქალი აკოფაშვილისა მეუღლე გლაშჩინსკისა. ნიადაგი ამ მკვლელობისა ასეთია: კირტაძე ცოლშვილიანი ახალგაზრდაა, თავზე ხელაღებული მოქეიფე ყმაწვილია, იგი დიდი ხანია დასდევდა თურმე აკოფაშვილის ქალს და თავისი სიყვარულით მოსვენებას არ აძლევდა. მას სურდა გაჰყროდა ცოლს და აკოფაშვილის ქალი შეერთო. წინააღმდეგ შემთხვევაში კირტაძე მოკვლას ემუქრებოდა. რამდენიმე ხნის წინად კირტაძე სამსახურიდან დაითხოვეს. იგი მოსკოვს გაემგზავრა და იქიდან ქალს დეპეშით მოსწერა: 150 მანეთიანი ადგილი ვიშოვე, როგორც ჩამოვალ ჯვარს დავიწეროო. ამაზე ქალმა უპასუხა: ტყუილად ჩამოხვალ, რადგანაც არ მიყვარხარ და სხვაზე უნდა დავიწერო ჯვარიო. ქალს წინად გრძნობა ეუბნებოდა, რომ კირტაძე რაიმე ხიფათს შეამთხვევდა და ამიტომ უნდოდა მფარველად ჰყოლოდა ვინმე. მას წინედაც და შემდეგაც დიდის სიმპატიით ეპყრობოდა ფოსტა-ტელეგრაფისვე მოხელე ვინმე გლაშჩინსკი. იმას არა ერთხელ უთქვამს ქალისათვის, რომ მუდამ შენი მფარველი ვიქნები, კიდეც რომ არ გამომყვე ცოლადაო. ამას გარდა გლაშჩინსკი გულად კაცად ითვლებოდა. ქალს სიცოცხლე ძლიერ ჰყვარებია, თანაც დედასა და დებს არჩენდა თურმე თავის ჯამაგირით. ამიტომ მეგობრებისათვის არა ერთხელ უთქვამს: „რა ვქნა არ მიყვარს გლაშჩინსკი, მაგრამ ორ ბოროტებაში უმცირესი უნდა ავირჩიოვო“!

სულ მეხუთე დღე იყო, რაც გლაშჩინსკიმა და აკოფაშვილის ქალმა ჯვარი დაიწერეს. ამ დროს კი კირტაძეს ყველაფერი გაუგია და თფილისში ბოროტის განზრახვით ჩამოსულა. აქ შეხვედრია გლაშჩინსკისა და დუელში გამოუწვევია იგი, მაგრამ გლაშჩინსკის უარი უთქვამს; გუშინწინ ორი საათი იქნებოდა, როდესაც გლაშჩინსკები ცოლი და ქმარი ტელეგრაფის განყოფილების ქვედა კიბეზე ჩამოდიოდენ, აქ მათ წინ შეეგება კირტაძე, რომელმაც უეცრად ბებუთი იძრო და ცოლ-ქმარს მივარდა. პირველი შემოქნევით, როგორც მნახველნი ამბობენ, კირტაძემ ცოლიცა და ქმარიც ხელში დასჭრა, გლაშჩინსკიმ თავს უშველა და ტელეფონის ოთახს შეაფარა თავი. ამ დროს კი ქალი გაჰკიოდა „მიშველეთ, მკლავენო“. კირტაძეს ქალი მარცხენა ხელზე გადაუწვენია და ბებუთი გულში რამდენჯერმე ჩაუცია. ქალი იქვე უსულოდ დაცემულა. იქვე მდგომნი ფოსტის მოხელენი თურმე თავზარდაცემულნი შესცქეროდენ ამ ამბავს და არც ერთს მათგანს არ მოაგონდა თვისი მოვალეობა, უმწეო ქალს მიშველებოდენ.

კირტაძე კი ეზოში გასულიყო და პოლიციელისათვის განეცხადებინა: „საცოლე მოვკალი, წამიყვანეთო“. როდესაც ცოტა მიწყნარდა ქმარი საფარიდან გამოვიდა. გადაალაჯა ცოლის გაციებულ გვამს, რომელიც კიბეზე ეგდო, და ხელის შესახვევად აფთიაქში წავიდა. ბოროტმოქმედების გაგებისთანავე მოვიდენ პოლიციელი, საგამომძიებლო მოხელენი, ფოსტის უფროსები და სხვა. გვამი მიხეილის საავათმყოფოში წაასვენეს. კირტაძე მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს. მკვლელობის ალაგას საღამომდი აუარებელი ხალხი მიდიოდა. (ს. ფ.)

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.




ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების
ზუგდიდის განყოფილება
იწვევს ზუგდიდის პირველდაწყებითი სკოლისათვის მასწავლებელს, რომლისათვის სავალდებულოა ქართული სიმღერა-გალობის ცოდნა. ჯამაგირი ექნება წელიწადში 400 მან. მასთან ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს დ. ზუგდიდში გამგეობის სახელზე.

განცხადება.
ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ

**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

შექსპირი ქართულად!
გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.
**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**
შექსპირის
რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს--1 მ., და მესამე--1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
✖ ✖ წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა ✖ ✖
იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:
არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული
პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის სააზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.
კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის
აბანო.
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.
ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ყორყოლაძეების
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის''.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები

ყველაზე იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა„ პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის